საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

საგანმანათლებლო პროგრამა - ბიოტექნოლოგია

მალხაზ ვახანია

ალოეს (A.aristata) ორგანოებიდან ლექტინების გამოყოფა, მათი ფიზიკურ-ქიმიური დახასიათება და ფუნქცია.

ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

მიმართულება - 05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
დარგი/სპეციალობა - 0504 ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი

თბილისი
2016

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის,

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) საბუნებისმეტყველო მიმართულებაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **1. გიორგი ალექსიძე**
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.
2. ნუგზარ ალექსიძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები: **1. ნანა კოშორიძე**
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.
2. მატრონა ჩაჩუა
ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2016 წლის 4 ივლისს 15^{00} საათზე.

საქართველოს საპარტიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის ქ. № $53^{ა}$, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2016 წლის 4 ივნისს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფიზიკა–მათემატიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

გიორგი მაქაცარია

სარჩევი

1. ნაშრომის ზოგადი დახასიათება..... 4
1.1. თემის აქტუალობა……... 4
1.2. კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები……... 5
1.3. ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები…….....…….. 5
1.4. კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები…… 6
1.5. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა…… 6
1.6. დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა…..... 7
2. ნაშრომის ძირითადი შინაარსი…..……..…..... 8
2.1. კვლევის ობიექტი.....……...… 8
2.2. კვლევის მეთოდები.....……...… 9
2.3. მიღებული შედეგები და მათი განხილვა.....…….. 13
2.4. დასკვნები..... 22
3. დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა…….…… 26

1.ნაშრომის ზოგადი დახასიათება

1.1. თემის აქტუალობა

ნახშირწყალ-დამოკიდებული შეცნობა, წარმოადგენს ერთ-ერთ ცენტრალურ მოვლენას ბიოლოგიური სისტემის ფუნქციონირებაში. უჯრედის დონეზე შეცნობა ჩვეულებრივ ხორციელდება სპეციფიკური ცილა-ნახშირწყლოვანი ურთიერთქმედებით და განაპირობებს ისეთ ბიოლოგიურად მნიშვნელოვან პროცესებს როგორიცაა: ნივთიერებათა ტრანსპორტი, ენზიმების მოქმედების მოდულაცია, უჯრედული კომუნიკაციები, უჯრედთა დიფერენცირება, განაყოფიერება, ზრდა-განვითარება, ანთებითი პროცესები, მიკრობთა ადჰეზია, სინაფსური გადაცემა და სხვა.

ლექტინების აღმოჩენის შემდეგ ინტენსიურმა კვლევებმა მიგვიყვანა ფიტოჰემაგლუტინინების სხვადასხვა ასპექტების გაგების დიდ პროგრესთან. მიუხედავად ამისა, ლექტინებთან მიმართებაში მეტად მნიშვნელოვანი კითხვები, რომელიც პასუხს მოითხოვს ჯერ კიდევ დასმული არ არის.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლექტინების ბიოლოგიური როლის შესწავლა, ფიტოლექტინები ცილების ძალზე ჰეტეროგენული ჯგუფია. მცენარეებში ისინი სხვადასხვა კონცენტრაციით არიან წარმოდგენილნი. ლექტინების ბიოლოგიური როლი მოიცავს უნივერსალურ მოლეკულურ მექანიზმს, რომელიც განაპირობებს ყველა ცოცხალი სისტემის, დაწყებული ვირუსებიდან დამთავრებული ადამიანით, ურთიერთქმედებას და განვითარებას. ამასთან არის კავშირში ლექტინების ბიოლოგიური როლი, რომელიც მოიცავს სპეციფიკური პროცესების ინჰიბირებას ან აქტივაციას, უჯრედებს შორის ურთიერთქმედებას და მათ ადჰეზიას ჰისტოგენეზსა და რეგენერაციის პროცესში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ურთიერთქმედების მექანიზმები, ზოგჯერ ბოლომდე ნათელი არ არის.

არსებობს მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ მრავალი ფიტოჰემაგლუტინინების ისეთ თვისებაზე, რაც დამახასიათებელია სარეზერვო ცილებისათვის, თუმცა ერთი შეხედვით რთული დასაჯერებელია ნახშირწყლების დამაკავშირებელ ცილებს არ გააჩნდეს უპირატესობა სარეზერვო ცილებთან მიმართებაში.

თანდათან ირკვევა, რომ ლექტინები ხასიათდებიან ორმაგი ფუნქციით, როცა ისინი მცენარეში არსებობენ, როგორც სარეზერვო ცილები, ხოლო როცა მცენარე ახდენს მათ გამოყოფას, ლექტინები აქტიურად იცავენ მას პარაზიტებისაგან. ამასთან რთულია იმის დამტკიცება თუ როგორ ხდება ლექტინებით მცენარის დაცვა, მაგალითად სოკოვანი ინფექციისგან, თუმცა ზოგიერთი ფაქტი ამაზე მიუთითებს, ასეთ შემთხვევებში საჭიროა კვლევის გარკვეული მეთოდების შემუშავებაც.

1.2. კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მცენარეული წარმოშობის უცნობი ლექტინების გამოყოფა, იდენტიფიკაცია და მათი ბიოლოგიური როლის შესწავლა კვლავ ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება. ამიტომაც მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ალოეს ერთ-ერთი სახეობის (A.aristata) ლექტინები. ჩვენი ინტერესი ალოეს მიმართ განპირობებული იყო ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე გაკეთებული დასკვნით, რომელიც მიუთითებს ზოგადად ალოეს გვარის სამკურნალო თვისებებზე. განსაკუთრებით საინტერესო იყო A. aristata-ს დღემდე შეუსწავლელი ლექტინების გამოვლენა, მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა და ბიოქიმიური მაჩვენებლების შესწავლა.

1.3. ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

გამოვლენილია მცენარე ალოეს (A.aristata) ორგანოებიდან გამოყოფილი, აქამდე უცნობი ლექტინების ნახშირწყლებისადმი დამოკიდებულება, ადამიანის სისხლის ABO ჯგუფის და ცხოველების ერითროციტებისადმი ლექტინების ურთიერთქმედება.

შესწავლილია ლექტინების აქტიურობა სხვადასხვა აბიოტური ფაქტორების (მაღალი და დაბალი ტემპერატურა, მზის მაღალი რადიაციის გავლენა, უი. სხივების მოქმედება) მიხედვით. დადგენილია ლექტინების განაწილება ცალკეული ფოთლების და მცენარის იარუსების მიხედვით.

ცდების შედეგად დადგინდა, რომ ალოეს (A.aristata) ორგანოები შეიცავს მანოზა- და N-აცეტილ-D-გლუკოზამინ-სპეციფიკურ

ლექტინებს. ლექტინები მაღალ ტემპერატურაზე დროის გარკვეულ (20 წუთი) ინტერვალში ინარჩუნებენ აქტიურობას. ლექტინების განაწილება არაერთგვაროვანია მცენარეში, მაქსიმალური ლექტინური აქტიურობით გამოირჩევა ალოეს ზედა იარუსის ფოთლები.

ალოეს ფოთლის ლექტინი არ ახდენს ადამიანის ABO სისხლის ჯგუფის ერითროციტების აგლუტინაციას, ბოლქვიდან გამოყოფილი ლექტინი ახდენს მეორე და მესამე სისხლის ჯგუფის ერითროციტების სუსტ აგლუტინაციას, ხოლო ფესვიდან გამოყოფილი ლექტინი ახდენს ABO სისტემის ყველა ჯგუფის ერითროციტების აგლუტინაციას.

1.4. კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

ალოეს ცალკეული ორგანოებიდან ლექტინების გამოყოფის მიზნით, ვიყენებდით ფიზიოლოგიურ ხსნარს (0.9% NaCl + 1M KH_2PO_4 pH 7.4 (PBS 0.4 mM), შეფარდებით გრამი ნედლეული/ 10 მლ).

ცილის კონცენტრაციას ვსაზღვრავდით ლოურის მეთოდით.

ლექტინების კონცენტრირებას და ნაწილობრივ გასუფთავებას ვახდენდით, 90%-იანი ამონიუმის სულფატით გაჯერებული ხსნარით.

ექსტრაქტში ლექტინურ აქტიურობას ვსაზღვრავდით ჰემაგლუტინაციური ტესტით ბოცვრის ტრიფსინიზირებულ ერითროციტების მიმართ იმუნოლოგიურ ფირფიტაზე.

ლექტინების სპეციფიკურობა ნახშირწყლების მიმართ შევისწავლეთ Liener-ის ჰაპტენ-ინჰიბიტორული მეთოდით.

ცილის მოლეკულური მასის დადგენას ვახდენდით ელექტროფორეზით 12%-იან პოლიაკრილამიდის გელში.

1.5.ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება.

ლექტინების ფუნქციიდან გამომდინარე ისახება მათი გამოყენების დიდი პერსპექტივები მედიცინაში, ბიოლოგიაში, გენურ ინჟინერიაში, სოფლის მეურნეობასა და მეცნიერების სხვა დარგებში. ნახშირწყლებთან სპეციფიკურად დაკავშირების თვისობის საფუძველზე ლექტინებმა ეფექტური გამოყენება ჰპოვეს აგრეთვე ბიოქიმიურ და ჰისტოქიმიურ კვლევებშიც. ლექტინების საშუალებით

შესაძლებელი გახდა გლიკოპროტეინების სუფთა სახით გამოყოფა და ბიომემბრანების ტერმინალური ნახშირწყლების ზონდირება.

1.6. დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა.

დისერტაცია მოიცავს: შესავალს, კვლევის მასალებსა და მეთოდებს, საკუთარი კვლევის შედეგებს, შედეგების განხილვას, დასკვნებს, გამოყენებული ლიტერატურის სიას (72 წყარო). იგი ილუსტრირებულია 64 ცხრილით და 25 სურათით. ნაშრომის მოცულობა 120 გვერდია.

2. ნაშრომის ძირითადი შინაარსი

2.1. კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტად ვიყენებდით ალოეს ერთ-ერთ სახეობას - Aloe aristata. მისი სისტემატიკური დახასიათება ასეთია:

სამეფო Plantae
რიგი Asparagales
ოჯახი Xanthorrhoeaceae
ქვეოჯახი Asphodeloideae
გვარი Aloe
სახეობა **A. aristata**

მისი სამშობლო სამხრეთ აფრიკაა, გავრცელების საზღვარი მოიცავს, სამხრეთ აფრიკის აღმოსავლეთ და დასავლეთ კაპის პროვინციას, თავისუფალ შტატს, ლესოტოს და კვაზულუ-ნატალის ტერიტორიებს. ჩვენთან დეკორატიული სახით არის გავრცელებული. იზრდება ქვიშიან ველებზე, ციცაბო მთიან-კლდოვან ადგილებში, ზღვის დონიდან 1600 მ-მდე. ადვილად ეჯვარება გასტერიას გვარის წარმომადგენლებს. A. arborescens-თან შედარებით, როგორც დეკორატიული მცენარე, ნაკლებად გავრცელებულია და ნაკლებად შესწავლილი.

ხასიათდება სუკულენტური ფოთლებით, რომელიც შეკრებილია მჭიდროდ, მრგვალ როზეტებად (დიამეტრი 8-10 სმ). ფოთლები 8-10 სმ. სიდიდის ფართო ლანცეტისებრი, ფუძესთან 1-1.5 სმ. სიგანის, ფერით მუქი მწვანეა, ფოთლის გვერდით კიდეებზე განლაგებულია პატარა გამჭვირვალე ეკლები. ფოთლების ზედაპირზე, განსაკუთრებით ქვედა მხარე, დაფარულია მრავალრიცხოვანი რბილი გამჭვირვალე ეკლებით, რომელიც განლაგებულია გარდი-გარდმო ერთი ან ორი მწკრივით. ფოთლის მწვერვალი მთავრდება თეთრი ქიცვით (ამით განსხვავდება ჰავორციასაგან. გარდა ამისა, მცენარე ჰავორციას ფოთლის ქვედა ნაწილში, შეიმჩნევა რკალის მსგავსი წარმონაქმნი, ალოეს ფოთოლს კი ეს ნაწილი სწორი აქვს და თან ოდნავ მომრგვალებული).

2.2. კვლევის მეთოდები

აგლუტინაციას საფუძვლად უდევს ლექტინების უნარი, დაუკავშირდნენ მეზობელი უჯრედების ზედაპირზე განლაგებულ ნახშირწყლებს, წარმოქმნან მათ შორის მრავალრიცხოვანი მოლეკულური ხიდაკები და გამოიწვიონ მათი შეწებება ანუ აგლუტინაცია.

ცილის ჰემაგლუტინაციურ ანუ ლექტინურ აქტიურობას ვსაზღვრავდით Liener-ის მეთოდით [40]. ჰემაგლუტინაციის ხარისხს ვაფასებდით ცილის ექსტრაქტის სპეციფიკური აქტიურობის მიხედვით (1 მგ ცილის ის მაქსიმალური განზავება, რომელიც ჯერ კიდევ იწვევს აგლუტინაციას) SA=T/C (მლ/მგ) სადაც T (ტიტრი) არის ცილის განზავების მნიშვნელობა პლანშეტის იმ ფოსოში, სადაც ჯერ კიდევ შეინიშნება ჰემაგლუტინაცია, ხოლო C - ცილის კონცენტრაცია, გამოსახული მგ/მლ ერთეულებში.

ლექტინების შემცველობას ვსაზღვრავდით, ცილის კონცენტრაციის შეფარდებით ლექტინურ აქტივობასთან (პირობით აგლუტინაციურ ერთეულებში).

ლექტინური მაჩვენებლების გამოთვლა მიმდინარეობდა შემდეგი ფორმულებით:

1. ლექტინის მინიმალური აქტიურობა.
2. ჰემაგლუტინაციური ტიტრი: $T=2^n$ სადაც
   T - ჰემაგლუტინაციის მინიმალური ტიტრი.
   2 - განზავების მაჩვენებელი
   n - იმუნოლოგიური პლანშეტის ფოსოების რაოდენობა, სადაც სრული აგლუტინაცია შეინიშნება.
3. ლექტინის სპეციფიკური აქტიურობა: SHA (Specifc Haemaglutination Activity) SHA=T/C
   სადაც: T - ჰემაგლუტინაციის მინიმალური ტიტრი.
   C - ცილის კონცენტრაცია.
4. ლექტინის ხვედრითი ჰემაგლუტინაციური აქტიურობა განისაზღვრება - $T \cdot m$
   სადაც T - ჰემაგლუტინაციის მინიმალური ტიტრი.
   m - მცენარის ქსოვილის მასა, საიდანაც ლექტინი გამოიყო.
5. ლექტინის კონცენტრაცია: $LC=\frac{1}{T * m}$ სადაც

LC - ლექტინის კონცენტრაცია.
T - ჰემაგლუტინაციის მინიმალური ტიტრი.
m - მცენარის ქსოვილის მასა, საიდანაც ლექტინი გამოიყო.

ექსპერიმენტული მონაცემები მიღებულია ცდების სამჯერადი
განმეორების შედეგად.

ბოცვრიდან სისხლიდან მიღებული ერითროციტების მასა მუშავდებოდა ტრიფსინით. ინკუბაციის შემდეგ ერითროციტებს სამჯერ ვრეცხავდით PBS-ის ათმაგ მოცულობაში, ვაცენტრიფუგირებდით 2000 g-ზე 10 წთ-ის განმავლობაში და კვლავ ვსაზღვრავდით ჰემატოკრიტს. ფიზიოლოგიური ხსნარის საფუძველზე ვამზადებდით ერითროციტების 2% სუსპენზიას, რომელსაც ვიყენებდით ჰემაგლუტინაციური აქტიურობის განსაზღვრისათვის.

ცილის რაოდენობას ვსაზღვრავდით ლოურის მეთოდით. ამ მეთოდს საფუძვლად უდევს არომატული ამინომჟავების (თიროზინი, ტრიფტოფანი) შეღებილი პროდუქტების წარმოქმნა ფოლინ-ჩიოკალტოს რეაქტივთან.

ნახშირწყლების მიმართ ლექტინების სპეციფიკურობას ვსწავლობდით ჰაპტენ-ინჰიბიტორული მეთოდის გამოყენებით. ანალიზისათვის ვიყენებდით მარტივი ნახშირწყლების, PBS ბუფერის საფუძველზე დამზადებულ 0.6 M ხსნარებს. ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა 5 ნახშირწყალი: D-გალაქტოზა, N-აცეტილ-D-გლუკოზამინი, D-მანოზა, L-ფუკოზა, D-გლუკოზა, ნახშირწყლების ხსნარს ვტიტრავდით 100 mM-დან კლებადი კონცენტრაციით, სამიკროტიტრაციო იმუნოლოგიურ ფირფიტაზე. ფირფიტის ყველა ფოსოში თანაბარი კონცენტრაციით შეგვქონდა ლექტინის ხსნარი. ჰაპტენის სპეციფიკურობაზე ვმსჯელობდით ნახშირწყლის იმ მინიმალური კონცენტრაციის მიხედვით, რომელიც იწვევდა ლექტინის ჰემაგლუტინაციური აქტიურობის დათრგუნვას.

ლექტინების თერმოსტაბილურობის შესწავლის მიზნით ნაწილობრივ გასუფთავებული ლექტინური ფრაქციების ინკუბაციას ვახდენდით წყლის აბაზანაში 20, 40, 60, 80, და 100^{0}C ტემპერატურაზე, 20 წუთის განმავლობაში. დამუშავებულ სინჯებს

ვაცივებდით ყინულოვან აბაზანაში (20 წთ), რის შემდეგაც ვაცენტრიფუგირებდით დენატურირებული ცილის ნალექის მოცილების მიზნით (8000g, 10 წთ) და სუპერნატანტებში ვსაზღვრავდით ჰემაგლუტინაციურ აქტიურობას ოთახის ტემპერატურაზე.

ლექტინების ჰემაგლუტინაციურ აქტივობაზე H^+ იონების კონცენტრაციის გავლენას ვსწავლობდით pH 5.0-დან – pH 9.0-მდე დიაპაზონის PBS ბუფერში, 1.0 ერთეულის შუალედებით.

გასუფთავებული ცილის ხსნარს (PBS, pH 7.4) ვტიტრავდით კლებადი კონცენტრაციის მიხედვით სამიკროტიტრაციურ იმუნოლოგიურ ფირფიტაზე, შესაბამისი pH-ის მქონე PBS-ში. აგლუტინაციისათვის ვიყენებდით ბოცვრის ტრიფსინიზირებული ერითროციტების 2% სუსპენზიას, რომელიც დამზადებული იყო აგრეთვე შესაბამისი pH-ის მქონე ბუფერის საფუძველზე.

მცენარეულ მასალას ვაჰომოგენიზირებდით ფაიფურის როდინში შემდეგ საექსტრაქციო არეში: 0.9% NaCl, 0,04M K^+-ფოსფატის ბუფერი, pH 7.4 (PBS), 0.1% β-მერკაპტოეთანოლი, შეფარდებით 1/10 (გ/მლ); ექსტრაქციას ვახდენდით მაგნიტურ სარეველაზე 1 საათის განმავლობაში, +20^{0}C-ზე. ექსტრაქტს ვფილტრავდით ორმაგ დოლბანდში და ვაცენტრიფუგირებდით 8000g-ზე 20 წთ; სუპერნატანტს ვფილტრავდით შუშის ფილტრებში. ექსტრაგირებულ ცილებს ვლექავდით ამონიუმის სულფატით 0-90% გაჯერების პირობებში; ფრაქციებს ვაცენტრიფუგირებდით 8000g-ზე 20 წუთის განმავლობაში, 1-4^{0}C-ზე („Beckman“ SW-27 როტორი); ნალექს ვხსნიდით მინიმალური მოცულობის PBS-ში, ვაჰომოგენიზირებდით მინის ჰომოგენიზატორში, კვლავ ვაცენტრიფუგირებდით (8000 ბრ/წთ, 10 წთ) და ვფილტრავდით Whatman CF/C და 0,45μ ფილტრებში.

გელ-ფილტრაციის მეთოდით ცილის ფრაქციონირებისათვის ვიყენებდით HW-55 გელის სვეტს (2სმX44სმ და 0.5X50სმ) სვეტზე დაგვქონდა 0,9% NaCl + 40mM K^+-ფოსფატის ბუფერით (pH 7.4) ექსტრაგირებული და ამონიუმის სულფატით (0-90% გაჯერების პირობებში) გამომარილებული ცილის ფრაქცია (1 მგ/მლ). ქრომატოგრაფიას ვატარებდით შემდეგ პირობებში: ელუციის სიჩქარე 1.5 მლ/წთ. დეტექტირება - 280 ნმ ტალღის სიგრძეზე, ქაღალდის სიჩქარე 1.5 მმ/წთ, მგრძნობელობა 1.28, საელუციო ბუფერი 0.9% NaCl

+ 40mM K^+-ფოსფატის ბუფერი (pH7.4). სვეტიდან გამოსულ ფრაქციებს ვაანალიზებდით ლექტინურ აქტიურობაზე.

ბოცვრის ერითროციტების გლუტარალდეჰიდით ფიქსაციის მიზნით თავდაპირველად ვახდენდით ერითროციტების ტრიფსინიზაციას.

ვამზადებდით ტრიფსინიზირებული ერითროციტების 2%-იან სუსპენზიას გლუტარალდეჰიდის 2.5 ან 5%-იან ხსნარზე. სააგლუტინაციო ბუფერზე (pH 7.4) და ვდგამდით სანჯღრეველაზე 17 სთ-ის განმავლობაში, +4^{0}C-ზე. ნალექს ვრეცხავდით ოთხმაგი მოცულობის სააგლუტინაციო ბუფერში, ცენტრიფუგირებით (700 g. 10 წთ.), ვადგენდით ჰემატოკრიტს და ვამზადებდით ერითროციტების 2%-იან სუსპენზიას სააგლუტინაციო ბუფერზე მომზადებული 1 M გლიცინის ხსნარზე (pH7.4). ვაყოვნებდით სანჯღრეველაზე 17 სთ-ის განმავლობაში, +4^{0}C-ზე. ნალექს კვლავ ვრეცხავდით ოთხმაგი მოცულობის სააგლუტინაციო ბუფერში, ცენტრიფუგირებით (700 g, 10 წთ.); ჰემატოკრიტის განსაზღვრის შემდეგ ნალექს ვურევდით ბიოგელ P-150-ს შეფარდებით 1:10 და ვამზადებდით გლუტარალდეჰიდით ფიქსირებული ერითროციტების აფინურ სვეტს ზომით 75×20 მმ. სვეტს კარგად ვრეცხავდით ჯერ სააგლუტინაციო ბუფერით, შემდეგ 0.2M გლიცინ/HCl-ის ბუფერით (pH 3.0). გამოყენების წინ სვეტს ვაწონასწორებდით სააგლუტინაციო ბუფერით.

ლექტინური აქტიურობის მქონე ცილოვანი ფრაქციიდან ლექტინის შემდგომ გასუფთავებას ვახდენდით 0.2N HCl-ით დამუშავებული G10 სვეტზე (1.7×2სმ), რომელიც გაწონასწორებული იყო 0.02M K^+-ფოსფატის ბუფერით. სვეტზე დაგვქონდა ლექტინური აქტიურობის მქონე ექსტრაქტის 10-15 მლ. სვეტს ვრეცხავდით იმავე ბუფერული ხსნარით.

ცილების ელექტროფორეზს დისოცირებულ პირობებში (პრეპარატის პოლიპეპტიდური შედგენილობის დასადგენად) ვატარებდით ასევე Laemmli-ის სისტემის გამოყენებით 1.2 მმ სისქის, 12% გრადიენტის პოლიაკრილამიდის გელში 0,2% SDS-ის თანაობისას. გასუფთავებული ლექტინის ცილოვანი პრეპარატის ელექტროფორეზს ვატარებდით Laemmli-ის სისტემის გამოყენებით 1.2მმ სისქის და 12% გრადიენტის პოლიაკრილამიდის გელში. ელექტროფორეზი მიმდინარეობდა VWR-ის ფირმის ხელსაწყოში 3-5 სთ-ის განმავლობაში გელის თითოეულ მილილიტრზე 2 mA დენის

ძალის თანაობისას. მარკერებად გამოყენებულ იქნა შემდეგი სტანდარტული ცილები (Kda): β-გალაქტოზიდაზა (116), ფოსფორილაზა b (97.4), ხარის შრატის ალბუმინი (66.2), ალკოჰოლდეჰიდროგენაზა (37.6), კარბოანჰიდრაზა (28.5), მოიგლობინი (18.4), ლიზოციმი (14).

2.3. მიღებული შედეგები და მათი განხილვა

გამომდინარე ალოეს წარმომადგენელთა სამკურნალო თვისებებიდან და ახალი ბიოლოგიურად აქტიური ლექტინების გამოვლენის აქტუალობამ, განაპირობა ჩვენი ინტერესი პრაქტიკულად შეუსწავლელი ალოეს ერთ-ერთი სახეობის Aloe Aristata-ს ფოთლის, ბოლქვის და ფესვის ლექტინების მიმართ. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ალოეს ორგანოებიდან მიგვეღო სუფთა სახის ლექტინის ფრაქცია და მოგვეხდინა მისი ბიოქიმიური დახასიათება და შეგვესწავლა მისი თვისებები.

კვლევის პირველ ეტაპზე შესწავლილ იქნა ალოეს (A.aristata) ორგანოებიდან გამოყოფილი ლექტინების დამოკიდებულება წყალბადიონთა კონცენტრაციისადმი. შედეგებმა აჩვენა, რომ ალოეს ფოთლის ლექტინი მაქსიმალურ აქტიურობას ავლენს pH 7.4-ის პირობებში, ხოლო ბოლქვის და ფესვის ლექტინი pH 9-ის პირობებში. ალოეს ფოთლის ექსტრაქტის ლექტინური აქტიურობაზე, გავლენას ახდენს pH-ის მკვეთრი ცვლილება და ტემპერატურისაგან დამოკიდებულება (36.6°C).

ალოეს (A.aristata) ფოთლიდან გამოყოფილი ლექტინი მანოზა-სპეციფიკურია, მანოზასპეციფიკური აღმოჩნდა ალოეს ყვავილის ღეროს და მთლიანად ყვავილიდან გამოყოფილი ლექტინიც. ბოლქვის და ფესვის ლექტინი N-აცეტილ-D-გლუკოზამინსპეციფიკურია. სამივე ორგანოდან გამოყოფილი ლექტინები ურთიერთქმედებენ პოლიმერ ქიტინთან, უფრო ნაკლებად რეაგირებს ალოეს ფოთლიდან გამოყოფილი ლექტინი, ვიდრე ბოლქვის და ფესვის ლექტინი, ეს ბუნებრივია, ვინაიდან ქიტინი შეიცავს N-აცეტილ-D-გლუკოზამინის ნაშთებს.

ალოეს (A.aristata) ორგანოებიდან გამოყოფილი ლექტინები, ახდენენ ბოცვრის, ვირთაგვას როგორც ტრიფსინიზირებულ, ისე ნატიური ერითროციტების აგლუტინაცას. ადამიანის AB0 სისხლის

ჯგუფის ნატიური ერითროციტების მიმართ კი ალოეს ფოთლის ლექტინი არ რეაგირებს, სუსტად რეაგირებს ალოეს ბოლქვის ლექტინი ადამიანის მეორე და მეოთხე სისხლის ჯგუფის ერითროციტებთან, ხოლო ფესვის ლექტინი ადამიანის ოთხივე ჯგუფის მიმართ ავლენს აგლუტინაციურ თვისებას.

ცილების სუფთა სახით მიღების პირველი ეტაპი არის ამონიუმის სულფატით მათი დალექვა. ამ მიზნით მიმდინარეობდა 20-100%-მდე ამონიუმის სულფატით მცენარეული ექსტრაქტების გაჯერება და ფიქსირება თუ რომელ პირობებში იყო ცილების ყველაზე მაღალი აქტიურობა. ალოეს ფოთლის ექსტრაქტის შემთხვევაში ლექტინური აქტიურობა ყველაზე მაღალი იყო ამონიუმის სულფატით 20-40%-ით ექსტარქტის გაჯერების, ხოლო ფესვის და ბოლქვის ექსტრაქტის შემთხვევაში 40-60%-ის პირობებში.

მცენარე გამოირჩევა იარუსების რაოდენობით. მათი რიცხვი ასაკის მიხედვით მერყეობს. ჩვენს შემთხვევაში იარუსების რაოდენობა რვა იყო. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ იარუსების საზღვრები მკვეთრად გამიჯნული არ არის. ცდები ჩატარდა თითო იარუსზე გვერდიგვერ მყოფი ორი ფოთლის მიხედვით. იარუსების ნუმერაცია მიმდინარეობდა ზემოდან ქვემოთ. ყველაზე მაღალი ლექტინური აქტიურობა გამოავლინა მცენარის პირველი იარუსის ფოთლებმა, ხოლო მერვე იარუსი ფოთლებში ლექტინური აქტიურობა, თითქმის 100%-ით დაბალი იყო, პირველი იარუსი ფოთლების ლექტინურ აქტიურობასთან მიმართებაში.

ლექტინური აქტიურობა განსხვავებული აღმოჩნდა ალოეს ფოთოლშიც კი. ის პირობითად დაიყო ორ: ზედა და ქვედა ნაწილებად. ზედა ნაწილი მკვეთრი მწვანე ფერისაა, ხოლო ქვედა ღია მწვანეა. ზედა ნაწილში ლექტინური აქტიურობა გაცილებით მაღალი აღმოჩნდა ქვედა ნაწილთან შედარებით. ალოეს ფოთლის კუტიკულა ასევე მაღალი ლექტინური აქტიურობით გამოირჩევა, ხოლო ფოთლის რბილობში ლექტინური აქტიურობა საერთოდ არ ფიქსირდება.

ალოეს (A.aristata) ბოლქვიც ლექტინური განაწილების მხრივ ერთგვაროვანი არ არის. ბოლქვის ზედა ნაწილი გამოირჩევა ლექტინის მაღალი აქტიურობით, რაც თანდათან მცირდება მის შუა და ბოლო ნაწილებში. ანალოგიურად ფესვებიც რაც უფრო

დაშორებულია მცენარის ბოლქვს მით უფრო მცირდება ლექტინური აქტიურობა.

ალოეს (A.aristata) ფოთლის ყვავილიც განსხვავებულია ლექტინური აქტიურობის მხრივ. მაქსიმალურ აქტიურობას ავლენს ყვავილის ყუნწი, ყველაზე ნაკლებია ფილამენტებში, ხოლო სამტვრე პარკში ლექტინური აქტიურობა არ ვლინდება.

ცდების მომდევნო სერიებში დადგინდა ალოეს (A.aristata) ორგანოებიდან მომზადებულ ექსტრაქტებში ლექტინური აქტიურობის ცვლილება მაღალი ტემპერატურული რეჟიმის ცვლის პირობებში. აღმოჩნდა, რომ ალოეს ფოთლის ექსტრაქტში ლექტინური აქტიურობა შენარჩუნებულია 20 წუთის მანძილზე 60°C-ზე. 80°C-ზე ის მთლიანად იხსნება, ხოლო ბოლქვის და ფესვის ლექტინი 100°C 20 წუთის განმავლობაში კი ინარჩუნებს მცირე ლექტინურ აქტიურობას.

ალოეს (A.aristata) ორგანოებიდან მიღებული ექსტრაქტები -18°C-ზე საკმაოდ მაღალ დონეზე ინარჩუნებენ ლექტინურ აქტიურობას.

ალოეს (A.aristata) ფოთლის ლექტინური აქტიურობა იზრდება უი. სხივების ზემოქმედების შედეგად 30 წუთის შემდეგ. ამასთან 60 წუთის მანძილზე უი. სხივები ზემოქმედება ალოეს ფოთლის ექსტრაქტში ლექტინურ აქტიურობაზე არ მოქმედებს, რაც დიდი ალბათობით ადაპტაციის მექანიზმებში ლექტინის როლზე მიუთითებს.

ცდების მომდევნო სერიაში, დავადგინეთ თუ როგორ იცვლებოდა ალოეს ფოთლის ცილების ქრომატოგრამის პიკების ცალკეულ უბნებში ლექტინური აქტიურობა. მაღალი ლექტინური აქტიურობით და ცილის კონცენტრაციით გამოირჩევა მეორე პიკი (სურათი №1). ლექტინური აქტიურობა თანდათან ქვეითდება, თუმცა ის გარკვეულ დონეს ინარჩუნებს მესამე პიკის ბოლომდე.

ალოეს (A.aristata) ფოთლის ექსტრაქტის ცილების ქრომატოგრამა
სურათი №1



ალოეს (A.aristata) ბოლქვის ექსტრაქტის ცილების ქრომატოგრამაშიც ლექტინური აქტიურობით გამორჩეულია მეორე და მესამე პიკები. სურათზე №2 ნაჩვენებია ლექტინური აქტიურობის მქონე უბნები.

ალოეს (A.aristata) ბოლქვის ექსტრაქტის ცილების ქრომატოგრამა
სურათი №2



ალოეს ფესვის ექსტრაქტის ქრომატოგრამაშიც ლექტინური აქტიურობით მეორე და მესამე პიკებია გამორჩეული. №3 სურათზე აღნიშნულია ლექტინური აქტიურობის მონაკვეთები.

ალოეს (A.aristata) ფესვის ექსტრაქტის ცილების ქრომატოგრამა

სურათი №3



ალოეს (A.aristata) ორგანოებიდან გამოყოფილი ლექტინების სუფთა სახით მიღება მიმდინარეობდა გლუტარალდეჰიდით ფიქსირებული ბოცვრის ტრიფსინიზირებული ერითროციტებით. მიღებული ლექტინური ფრაქციის ერითროციტებისგან გამოთავისუფლება მიმდინარეობდა გლიცინ HCl-ის ხსნარით, დამზადებული PBS-ის ბუფერზე pH 2.5. შედეგად მიღებული გასუფთავებული ლექტინური ფრაქციის დატანა ხდებოდა 12%-იან პოლიაკრილამიდის გელში 0.2 %-იან SDS-ის თანხლებით. შედეგად მიღებულ იქნა სამი ლექტინური აქტიურობის მქონე ფრაქცია მოლეკულური მასით: 56.2; 12.7 და 12.2 kDa (სურათი №4).

ალოეს(A.aristata) ფოთლის ცილების ელექტროფორეგრამა

სურათი №4.



ალოეს (A.aristata) ბოლქვის ცილები, რომელიც ასევე ინკუბირებული იყო გლუტარალდეჰიდით ფიქსირებული ერითროციტების სვეტზე, ელექტროფორეზულმა ანალიზმა გამოავლინა მკვეთრად გამოხატული სამი ცილოვანი (ლექტინური) ფრაქცია მოლეკულური მასით: 53.19; 39.57 და 33.69 kDa (სურათი №5).

ალოეს (A.aristata) ბოლქვის ცილების და ლექტინების ელექტროფორეგრამა

სურათი №5





B. ცილის მარკერები

1.	ბეტა გალაქტოზიდაზა	116 kDa
2.	ფოსფორილაზა ბ	97.4 kDa
3.	ხარის შრატის ალბუმინი	66.2 kDa
4.	ალკოჰოლდეჰიდროგენაზა	37.6 kDa
5.	კარბოანჰიდრაზა	29.5 kDa

A.C.D. Aloe aristata-ს ბოლქვის ცილების და ლექტინების ფრაქციები

1.	A.A.B.P.1	99.49 kDa
2.	A.A.B.P.2	88.49 kDa
3.	A.A.B.P.3.	78.89 kDa
4.	A.A.B.P.4	67.07 kDa
5.	A.A.B.L.5.(1)	53.19 kDa
6.	A.A.B.L.6.(2)	39.57 kDa
7.	A.A.B.L.7.(3)	33.69 kDa

ალოეს (A.aristata) ფესვის შემთხვევაში მიღებულ იქნა ცილების ზოგადი ელექტროფორეზის სურათი სადაც გამოვლინდა 11 ცილოვანი ფრაქცია (სურათი №6).

ალოეს (A.aristata) ფესვის ცილების ელექტროფორეგრამა
სურათი №6





ალოედან (A.aristata) სუფთა სახით მიღებულ იქნა ნუკლეინის მჟავები (დნმ და რნმ), რომელიც დატანილ იქნა 2%-იან აგაროზის ეთიდიუმ ბრომიდიან გელზე. ელექტროფორეზი მიმდინარეობდა ტრის-აცეტატური ბუფერის თანაობისას. კონცენტრაცია და სისუფთავის მაჩვენებლები იზომებოდა NaNo Drop ND-1000 spectrophotometer-ით (სურათი №7 და 8).

ალოედან (A.aristata) გამოყოფილი დნმ

სურათი №7



ალოედან (A.aristata) გამოყოფილი რნმ (28S და 18S)

სურათი №8



ალოეს ორგანოებიდან მიღებული ლექტინური აქტიურობის ექსტრაქტები, გარკვეული სიძლიერით რეაგირებენ ბიფიდობაქტერიების გვარის წარმომადგენლებზე (B.bifidum, B.longum, B.A.lactis, B. breve). ძლიერი აგლუტინაციური უნარით ხასიათდება ფოთლის ექსტრაქტი, რომელიც ექსპერიმენტში გამოყენებული ბიფიდობაქტერიების ოთხივე წარმომადგენლებზე ახდენს ძლიერ აგლუტინაციურ გავლენას (სურათი №9). ამ ფონზე საშუალო მოქმედებით გამოირჩევა ალოეს ბოლქვის ექსტრაქტი, ხოლო ფესვის ექსტრაქტი, ფოთლის და ბოლქვის ექსტრაქტებთან

შედარებით, ბიფიდობაქტერიების აგლუტინაციას გაცილებით სუსტად ახდენს.

ალოეს (A.aristata) ფოთლის ლექტინური აქტიურობის ექსტრაქტის ურთიერთქმედება ბიფიდობაქტერიებთან.

სურათი №9





A. ბაქტერიების კულტურები ალოეს (A.aristata) ფოთლის ექსტრაქტის გარეშე
B. ბაქტერიების კულტურები ალოეს (A.aristata) ფოთლის ლექტინური აქტიურობის ექსტრაქტთან ერთად

ექსპერიმენტში გამოყენებულ იქნა კომპანია DSMZ-ში (Leibnis-Institute DSMZ-German collection of microorganisms and cell cultures. www.dsmz.de) მიღებული ბიფიდობაქტერიების სუფთა კულტურები.

2.4. დასკვნები

1. დადგენილ იქნა ალოეს A.aristata-ს ფოთლის, ბოლქვის და ფესვის ლექტინური აქტიურობის ცილების დამოკიდებულება წყალბადიონთა კონცენტრაციის მიმართ. ალოეს ფოთლის ლექტინი მაქსიმალურ აქტიურობას ავლენს pH 7.4-ის პირობებში, ბოლქვის და ფესვის ლექტინები pH 9-ის პირობებში. ამასთან ალოეს ფოთლის ლექტინის აქტიურობაზე გავლენას ახდენს ტემპერატურის და pH-ის ცვლილება.
2. დადგენილ იქნა A.aristata-ს ორგანოებიდან გამოყოფილი ლექტინების მაქსიმალური ექსტრაქციის დრო, რაც შეადგენს 60 წუთს.
3. დადგენილ იქნა β-მერკაპტოეთანოლის ზემოქმედება A.aristata-ს ფოთლის და ბოლქვის ლექტინურ აქტიურობაზე. ფესვის ლექტინის მიმართ მისი მოქმედება არ ვლინდება.
4. დადგენილ იქნა A.aristata-ს ფოთლის ლექტინის მანოზასპეციფიკურობა, ხოლო ბოლქვის და ფესვის ლექტინი N-აცეტილ-D-გლუკოზამინსპეციფიკურია.
5. A.aristata-ს ორგაოებიდან გამოყოფილი ლექტინები ახდენენ ბოცვრის, ვირთაგვას, როგორც ტრიფსინიზირებული, ისე ნატიური ერითროციტების აგლუტინაციას. ადამიანის ABO სისხლის ჯგუფების ნატიური ერითროციტებთან A.aristata-ს ფოთლის ლექტინი არ რეაგირებს, ბოლქვის ლექტინი სუსტად რეაგირებს მხოლოდ მეორე და მეოთხე ჯგუფის ერითროციტებზე, ხოლო ფესვის ლექტინი ახდენს ყველა ჯგუფის ერითროციტების აგლუტინაციას.
6. A.aristata-ს ფოთლის ლექტინის მაქსიმალური აქტიურობა ვლინდება ამონიუმის სულფატის 20-40%-ით გაჯერების პირობებში, ხოლო ბოლქვის და ფესვის მაქსიმალური აქტიურობა ვლინდება ამონიუმის სულფატის 40-60%-ით გაჯერების პირობებში.

7. A.aristata-ს ფოთლებში ლექტინური განაწილება იცვლება მცენარის იარუსების მიხედვით. მინიმალურ ლექტინურ აქტიურობას ავლენს ქვედა იარუსის ფოთლები, მაქსიმალურს კი ზედა იარუსის ფოთლები. მაღალი ლექტინური აქტიურობით გამოირჩევა მცენარის ცენტრში არსებული ნორჩი ფოთლები. მიუხედავად ანატომიური ერთიანობისა A.aristata-ს ბოლქვში ლექტინი არაერთგვაროვნად არის განაწილებული: მაქსიმალურია ბოლქვის ზედა ნაწილში ფოთლებთან ახლოს და მინიმალურია ბოლქვის ძირში. ფესვი კი რაც უფრო დაშორებულია ბოლქვს, მისი ლექტინური აქტიურობა მცირდება.
8. დადგინდა, რომ A.aristata-ს ერთეული ფოთლები, ლექტინური აქტიურობის მხრივ ერთგვაროვანი არ არის. ლექტინური აქტიურობა გაცილებით მაღალია ფოთლის წვერში, რომელიც უფრო მწვანედ გამოიყურება, ფოთლის რბილობი ლექტინებს პრაქტიკულად არ შეიცავს. მაღალია ლექტინური აქტიურობა ფოთლის კუტიკულაში.
9. ლექტინურ აქტიურობას ავლენს დეჰიდრატირებული ალოეს ფოთოლი და დაზიანების ადგილზე განვითარებული ქერქი.
10. ლექტინური აქტიურობის ცილებს შეიცავს A.aristata-ს ყვავილის შემადგენელი ნაწილები: ღერო, რომელშიც აღმოჩენილ იქნა ერითროციტების ლიზის ფაქტორი, მისი ინჰიბირება ნაწილობრივ ხდება ნახშირწყალ მანოზით. უშუალოდ ყვავილის ნაწილებიდან ლექტინური აქტიურობით გამოირჩევა ყვავილის ყუნწი, გვირგვინის ფურცლები, ბუტკო, შემდეგ მტვრიანას ფილამენტი, ხოლო სამტვრე პარკის ექსტრაქტში ლექტინური აქტიურობა არ ვლინდება.
11. A.aristata-ს ფოთლის ლექტინური აქტიურობის ექსტრაქტის ქრომატოგრაფიით ვლინდება ოთხი პიკი, აქედან მეორე და მესამე პიკები გამოირჩევიან ლექტინური აქტიურობით. ფოთლის ქვედა ნაწილის ექსტრაქტის ქრომატოგრაფიით ვლინდება ასევე ოთხი პიკი, თუმცა ლექტინური აქტიურობით მხოლოდ მესამე პიკი გამოირჩევა.
12. A.aristata-ს ყვავილის ღეროს ექსტრაქტის ქრომატოგრაფიით ვლინდება სამი პიკი, ლექტინური აქტიურობით მეორე და მესამე პიკები გამოირჩევა. გაერთიანებული ყვავილის

ექსტრაქტი კი ავლენს ოთხ პიკს, საიდანაც ლექტინური აქტიურობით მეორე და მესამე პიკები გამოირჩევა.

13. A.aristata-ს ბოლქვის ლექტინური აქტიურობის ექსტრაქტის ქრომატოგრაფიით მიიღება ოთხი პიკი, აქედან მეორე და მესამე პიკები ავლენს ლექტინურ აქტიურობას.
14. A.aristata-ს ფესვის ლექტინური აქტიურობის ექსტრაქტების ქრომატოგრაფიით ვლინდება ხუთი პიკი, ლექტინური აქტიურობით გამოირჩევა მეორე და მესამე პიკები.
15. A.aristata-ს ფოთლის ცილების ელექტროფორეზით, ვლინდება ლექტინური აქტიურობის სამი ფრაქცია მოლეკულური მასით: 56.2; 12.7 და 12.2 kDa.
16. A.aristata-ს ბოლქვის ცილების ელექტროფორეზმა გამოავლინა მკვეთრად გამოხატული სამი ლექტინური ფრაქცია მოლეკულური მასით: 53.19; 39.57 და 33.69 kDa.
17. A.aristata-ს ფესვის შემთხვევაში, ელექტროფორეზით გამოვლენილ იქნა ცილების 11 ფრაქცია მოლეკური მასით: 63.8; 50; 45.3; 35.53; 34.48; 32.23; 27.84; 25.25; 24.05; 15.88; 13.7 kDa.
18. დადგინდა, რომ A.aristata-ს ფოთლის ლექტინი აქტიურობას ინარჩუნებს 60°C-ზე გაცხელების პირობებში 20 წუთის განმავლობაში, ხოლო ბოლქვის და ფესვის ლექტინი 100°C-ზე 20 წუთის განმავლობაში ინარჩუნებს სუსტ ლექტინურ აქტიურობას.
19. A.aristata-ს ფოთლის და ფესვის ლექტინები შესაბამის ტემპერატურაზე ინაქტივაციის შემდეგ, შენიშნულია 7 დღის შემდეგ ლექტინური აქტიურობის სუსტი რეაქტივაცია.
20. A.aristata-ს ორგანოებიდან გამოყოფილი ლექტინები 10 დღის მანძილზე -18°C-ზე შენახვის პირობებში ინარჩუნებენ ლექტინურ აქტიურობას.
21. A.aristata-ს ფოთლის ლექტინი მზის მაღალი რადიაციის პირობებშიც კი ინარჩუნებს ლექტინურ აქტიურობას.
22. A.aristata-ს ფოთლის ექსტრაქტში უი. სხივების მოქმედებიდან 30 წუთის შემდეგ ლექტინური აქტიურობა იზრდება, ხოლო დაუსხივებელი ფოთლის დასხივებულ ექსტრაქტში უი. სხივების 60 წუთის განმავლობაში ზემოქმედება არ მოქმედებს მის ლექტინურ აქტიურობაზე.
23. ალოეს ფოთოლში სიბნელეში მოთავსების მეორე დღიდან იწყება ლექტინის კონცენტრაციის კლება 50%-ით, რაც შენარჩუნებულია

მეექვსე დღემდე. მეშვიდე დღიდან ლექტინის კონცენტრაცია ნორმის ფარგლებს უბრუნდება.

24. ჩატარებული კვლევების საფუძველზე დგინდება, რომ A.aristata-ს ფოთლის ლექტინი ძირითადად ლოკალიზებულია მცენარის კუტიკულაში, ღეროში, ყვავილის ყუნწში, მტვრიანების ფილამენტებში, ბუტკოში, ხოლო რბილობსა და სამტვრე პარკში ლექტინური აქტიურობა ფაქტიურად არ შეინიშნება. ლექტინური აქტიურობა მაღალია მცენარის ჭრილობის ადგილზე განვითარებულ ქერქში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ალოეს ფოთლის ლექტინი საყრდენი ცილაა, ის უზრუნველყოფს ფოთლის სიმტკიცეს, იცავს მცენარის ყვავილს აბიოტური ფაქტორების ზემოქმედებისაგან. უი. სხივების შედეგად ლექტინური აქტიურობის მატება მიანიშნებს მცენარის მზის მაღალი რადიაციისადმი თავდაცვის მექანიზმების გამომუშავებაზე. რაც შეეხება ფესვის და ბოლქვის ლექტინს, მათი მაღალი ტემპერატურისადმი მდგრადობა უზრუნველყოფს მცენარის არსებობას, მაღალი ტემპერატურის პირობებში. A.aristata-ს გარემოს მაღალი ტემპერატურის მიმართ გამომუშავებული აქვს სხვადასხვა ადაპტაციური მექანიზმები, რომლის ერთ-ერთი რგოლი ლექტინური აქტიურობის ცილებია.

25. ალოეს ორგანოებიდან მიღებული ლექტინური აქტიურობის ექსტრაქტები, გარკვეული სიძლიერით რეაგირებენ ბიფიდობაქტერიების გვარის წარმომადგენლებზე. ძლიერი აგლუტინაციური უნარით ხასიათდება ფოთლის ექსტრაქტი, რომელიც თითქმის ბიფიდობაქტერიების ოთხივე წარმომადგენლებზე (B.bifidum, B.longum, B.A.lactis, B. breve) ახდენს ძლიერ აგლუტინაციურ გავლენას. ამ ფონზე საშუალო მოქმედებით გამოირჩევა ალოეს ბოლქვის ექსტრაქტი (თუმცა საკმაოდ ძლიერი აგლუტინაცია ფიქსირდება B.bifidum-ის და B.longum-ის შემთხვევაში), ხოლო ფესვის ექსტრაქტი, ფოთლის და ბოლქვის ექსტრაქტებთან შედარებით, გაცილებით სუსტ აგლუტინაციურ უნარს ავლენს ბიფიდობაქტერიებთან ურთიერთობისას.

26. A.aristata-დან სუფთა სახით გამოყოფილია ნუკლეინის მჟავები.

3. დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

1. ნ. მღებრიშვილი, მ. ვახანია, გ. ალექსიძე, ნ. ალექსიძე. ალოეს ფოთლებიდან D-მანოზასპეციფიკური ლექტინის გამოყოფა და მისი ფიზიკურ- ქიმიური თვისებების შესწავლა. საქ. მეცნ. აკადემია. ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგია“ N4-6, 2011. pp.78-82.
2. Vakhania M., Alexidze G., Aleksidze N. Isolation, purification and biochemical Characterization of N-Acetyl-D-Glucosamine specific lectin from the root of Aloe aristata. Bulletin of the Georgian National Academy of science, 5. 2011 pp. 112-115.
3. M. Vakhania, N. Aleksidze. Plant lectins, Biochemical characterization and functions. ANNALS OF AGRARIAN SCIENCE, vol. 11, no.3,2013. pp.8-16.
4. M. A. Vakhania, G. I. Alexidze, N. G. Aleksidze. Allocation of lectins in flower organs of Aloe plant (*Aloe aristata Haw.*) and their biochemical characteristics. ANNALS OF AGRARIAN SCIENCE, vol. 12, no. 3, 2014. pp. 22-26.
5. M. A. Vakhania, G. I. Alexidze, N. G. Aleksidze Allocation of mannose- and N-acetyl-D-glucosamine specific lectins in different parts of Aloe plants (*Aloe aristata Haw.*) and their biochemical characteristics. Bulletin of the Georgian National Academy of science,vol.10,2. 2016 (in press).

გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლებს:

ირინა ჯაფარიძეს,
თამარ ჯაფარიძეს,
ნანა კუნელაურს,
თინათინ ნიქაბაძეს,
მარგარიტა კარაპეტიანს,
ვლადიმერ ბარამიძეს,
ლეონიდ უშანოვს,
გიორგი ზაალიშვილს.

St. Andrew the First-called Georgian University of the Patriarchate of Georgia

With the rights of manuscript

School (faculty) of informatics, mathematics and natural sciences

Educational program – biotechnology

Malkhaz Vakhania

